საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს კონკურენციის პოლიტიკის ძირითად განმსაზღვრელ და განმახორციელებელ ორგანიზაციას.

სააგენტო ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიზნესის კონკურენტუნარიანობის და მომხმარებლის კეთილდღეობის მხარდაჭერისთვის ხელს უწყობს ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის არსებობას.

მოკვლევა

საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, საავტომობილო საწვავის ბაზარზე, ხუთი ეკონომიკური აგენტის მიმართ წარმოებული მოკვლევა დაასრულა, რომელიც 2022 წლის 16 აგვისტოს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციის და სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საფუძველზე დაიწყო. საკითხი ეხება - 2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში, საავტომობილო საწვავის საცალო ბაზარზე მაღალი ფასების შენარჩუნებას.

კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოებული მოკვლევის შედეგად დადასტურდა - შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ და შპს „რომპეტროლ საქართველოს“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევა.

სააგენტოს გადაწყვეტილებით, ხუთ ეკონომიკურ აგენტს შესაბამისი ფინანსური სანქცია - ჯამში, 4 მილიონ ლარამდე დაეკისრა. ასევე, ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, შესასრულებლად აუცილებელი რეკომენდაცია გაიცა.

https://shorturl.at/bfiJ8

BUY
TICKETS

კინოთეატრების ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე, სააგენტოს მიერ წარდგენილი შუამდგომლობა, მოკვლევის დასრულებამდე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა.

შესაბამისად, სააგენტოს მიერ სასამართლოს ბრძანებით შეჩერდა - შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „ონლაინ თიქეთსს“ (სამართალმემკვიდრე შპს „თინეთი“) შორის 2022 წლის 31 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედი „ექსკლუზივის“ პირობა.

https://shorturl.at/fxCZ5

კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, სათარჯიმნო-მთარგმნელობითი მომსახურების სფეროში მოქმედი ეკონომიკური აგენტები განმეორებით დააჯარიმა.

https://shorturl.at/ghoT4

საზღვაო გადაზიდვების სექტორში კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა.

https://shorturl.at/hikU0

მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმები და მიღებული შედეგები

2022 წლის 1 ნოემბრიდან, კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით, განცხადებების მიღება და შესწავლა დაიწყო

401	ნოემბრიდან სექტემბრის ჩათვლით შემოსული განაცხადი
227	საქმის შესწავლა დაიწყო
3853	შემოსული ზარების რაოდენობა
72	მომხმარებლის სასარგებლოდ პირობითი ვალდებულება გაფორმდა (110 საქმეზე)
27	დარღვევა დადასტურდა (41 საქმეზე)
05	დარღვევა არ დადასტურდა (5 საქმეზე)
04	ჯარიმა დაეკისრა (15 საქმეზე)







ნოემბერი 2022 - სექტემბერი 2023

კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა მომხმარებელს უფლება აქვს - მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე, ხოლო მისი არ არცოდნა არ შეიძლება მომსახურების გაწევაზე უარის თქმის მოტივი იყოს.

https://t.ly/eEln4

კონკურენციის სააგენტომ, ქ. ბათუმში, კვებითი მომსახურების სექტორში, ქართულ ენაზე ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო დარღვევის ფაქტი დაადგინა.

სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზანია მანიპულაციური მარკეტინგული ხრიკის-შეცდომაში შემყვანი სპეციალური კომერციული შეთავაზების დროის ყალბი უკუმთვლელის, როგორც უსამართლო კომერციული საქმიანობის პრევენცია.

https://t.ly/PUnS2

კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, მომხმარებლის უფლებების დაცვის მიზნით, მოვაჭრის მხრიდან უსამართლო კომერციული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და დროში შეზღუდული შეთავაზების სტანდარტი დაადგინა.

შესაბამისად, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, თითოეული მომხმარებელი დაცულია - ამანათ(ებ)ზე საკუთრების უფლების დაკარგვისგან. კერძოდ, სააგენტოს მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად, თუკი მომხმარებელი 30 დღეში საქართველოს საწყობში არსებულ ამანათს არ გაიტანს, მასზე ავტომატურად საკუთრების უფლებას არ დაკარგავს.

https://t.ly/2qGck

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა შპს „ფორსას“ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა.

კონკურენციის სააგენტომ, მომხმარებლის სასარგებლოდ, პირობითი ვალდებულების ხელშეკრულებები გააფორმა:

- კომპანია „აი სი არ ტრეიდი“
- შპს „პრესტიჟი“-“ ICI PARIS”
- შპს „აიტექნიკი“
- შპს „გორგია“
- www.wishlist.ge
- „VESTEL“

შესაბამისად, სააგენტოსა და კომპანიებს შორის დადებული შეთანხმების თანახმად, მოვაჭრეებმა აიღეს ვალდებულება საქმიანობის შიდა პოლიტიკა შეცვალონ და იმ მომხმარებელთა უფლებები აღადგინონ, რომელთაც, სავარაუდოდ, წარსულში მათი სავაჭრო პოლიტიკის შედეგად ზიანი მიადგა.

საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შევიდა

01	დისტანციურად ან სარეწს გარეთ შეძენის შემთხვევაში, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, მომხმარებელს არ ექნება უფლება დააბრუნოს სპორტული ან კულტურული ღონისძიების ბილეთი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვაჭრე თავად განსაზღვრავს აღნიშნული ბილეთის დაბრუნების შესაძლებლობას, წესსა და პირობებს.
02	2023 წლის 1 აგვისტოდან, მოვაჭრისგან ინფორმაციის მიუღებლობის ან არასრულად მიღების შემთხვევაში, სათანადო შეტყობინების შემდეგ, სააგენტო მოვაჭრეს ჯარიმას დააკისრებს. ჯარიმის ოდენობა შეადგენს 500 ლარს. ჯარიმის დაკისრებიდან 1 წლის განმავლობაში, იგივე ქმედების ჩადენის შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა შეადგენს 1 000 ლარს.
03	განისაზღვრა - სააგენტოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მოვაჭრისათვის დასაკისრებელი ჯარიმის მინიმალური ოდენობა - 600 ლარი. (ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს) https://shorturl.at/lpsul

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო მომხმარებლის დაცვის და აღსრულების საერთაშორისო ქსელის (ICPEN) პარტნიორი გახდა, რომელიც აღნიშნული მიმართულებით მომუშავე 80-ზე მეტი ქვეყნის უწყებას და წევრ ორგანიზაციას აერთიანებს მთელ მსოფლიოში.



ICPEN-ში გასაწევრიანებლად აუცილებელი კრიტერიუმია წევრი ორგანიზაციების ხმების, წარდგინების მიღება, რაც საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით, არასრული 1 წლიანი მუშაობის შედეგად უკვე მოიპოვა.

შესაბამისად, მომხმარებლის დაცვის და აღსრულების საერთაშორისო ქსელის ვებგვერდზე - ამერიკის შეერთებული შტატების, კოლუმბიის, თურქეთის, გერმანიის, გაერთიანებული სამეფოს, შვეიცარიის, საფრანგეთის და 80-მდე სხვა ქვეყნის გვერდით უკვე საქართველოც არის.

https://shorturl.at/lmS23

https://shorturl.at/IKM23

ანტიდემპინგი



სომხეთიდან იმპორტირებული ფილტრიანი სიგარეტების სავარაუდო დემპინგური ფასის შესახებ მიმდინარე შესწავლა საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ განცხადების გახმობის შემდეგ შეწყვიტა, რაც განმცხადებლის მითითებით, მის მიერ დასმულ პრობლემურ საკითხებთან მიმართებით ბაზარზე სწრაფი პროგრესით და კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებით მყარდება.

სააგენტომ ინფორმაცია დაამუშავა როგორც ადგილობრივი, ასევე ექსპორტიორი ქვეყნის წყაროებზე დაყრდნობით. შესწავლის მიმდინარეობის ეტაპზევე გამოიკვეთა დაინტერესებულ მხარეთა მაღალი ხარისხის ჩართულობა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული პროცესი. შესწავლის დაწყებას საფუძვლად დაედო სს თბილისის თამბაქოს 2023 წლის 15 მაისის განცხადების დასაშვებობის შემოწმებასთან დაკავშირებული კვლევის ანგარიში.

https://shorturl.at/impR1

მონიტორინგი

ფერმერების მომართვის საფუძველზე, სააგენტომ ლურჯი მოცვის ბაზარზე მონიტორინგი დაიწყო. რომლის მიზანია - კონკურენციის კანონმდებლობის ჭრილში, ბაზარზე არსებული ვითარების შეფასება, პროდუქციის აღების პერიოდში ფასწარმოქმნაზე საბაზრო და შესაძლო არასაბაზრო ფაქტორების ანალიზი.

მონიტორინგის ფარგლებში, კონკურენციის ეროვნული სააგენტო შეაფასებს - კონკურენტულ გარემოს როგორც მოცვის წარმოების, ასევე მისი ექსპორტის დონეზე. კომპეტენციის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს მიერ დამუშავდება რეკომენდაციები.

https://shorturl.at/dmDI4

ამ ეტაპზე, მიმდინარე რეჟიმშია 2 მონიტორინგი: საბანკო დაწესებულებებში სადაზღვევო პროდუქტების მიწოდება/შეთავაზების და თხილის ბაზრის მონიტორინგები.



წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციების კონტროლი

კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, სწრაფი მოხმარების პროდუქტების ("FMCG") სექტორში „დიპლომატ ჯორჯიასა“ და "კანტის" კონცენტრაციაზე თანხმობა გასცა

საკითხი ეხებოდა – შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ მიერ შპს „კანტის“ 75%-იანი წილის შეძენას. სააგენტომ კონკურენტული გარემო შეაფასა საკვები და სასმელი პროდუქტების იმპორტისა და საბითუმო ვაჭრობის, ასევე, სადისტრიბუციო მომსახურების ბაზარზე. სააგენტომ დაადგინა, რომ განხორციელებული კონცენტრაცია, კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად, არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას და კონკურენტულ გარემოსთან თავსებადია.

https://shorturl.at/cfHV0

კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, დეველოპერულ ბაზარზე, „ანაგი დეველოპმენტ 2“-ის და „თეთრი კვადრატი ისანში“ კონცენტრაციაზე თანხმობა გასცა

საკითხი ეხებოდა – შპს „თეთრი კვადრატი ისანის“ მიერ შპს „ანაგისგან“ შპს „ანაგი დეველოპმენტ 2“-ის 50%-იანი წილის შესყიდვას. სააგენტომ შეაფასა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობის ბაზარი. აღნიშნული ბაზრის მოცულობამ, 2022 წელს, 8 084 435 501 ლარი შეადგინა, ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი(HHI) 61.41-ია, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. კონცენტრაციის განხორციელების შედეგად HHI 64,14-ია, ხოლო ინდექსის ცვლილება ΔHHI მიხედვით 2,73. შესაბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილებით, დაგეგმილი კონცენტრაციის შედეგად, შესაბამის ბაზარზე, კონცენტრაციის ინდექსი არსებითად არ იცვლება და კონკურენტულ გარემოსთან თავსებადია.

https://shorturl.at/ixPU3

კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, სამედიცინო სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების სექტორში დაგეგმილ კონცენტრაციაზე თანხმობა გასცა

საკითხი ეხება – შპს „ჯი ემ ეს სი საქართველოს სამედიცინო სერვისების კომპანიის“ მიერ შპს „მედკაპიტალში“ შპს „პსპ ფარმას“ 50%-იანი წილის შესყიდვას. სააგენტოს მიერ მიღებული და დამუშავებული მასალის მიხედვით დადგინდა, რომ აღნიშნული კონცენტრაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.

https://shorturl.at/CEHV0

2023 წლის მეორე კვარტალში, საქართველოში, ეკონომიკური აგენტების 6808 კონცენტრაცია (გაერთიანება) დარეგისტრირდა. იდენტიფიცირებული მონაცემების მიხედვით, 6800 შემთხვევაში რეგისტრირებულ კონცენტრაციებში მონაწილე მხარეების წლიური ბრუნვა, წინასწარი შეტყობინების ვალდებულების წარმოშობისთვის აუცილებელ კრიტერიუმს წლიური ბრუნვის ნაწილში არ აკმაყოფილებდა. 8 შემთხვევა აკმაყოფილებდა, თუმცა ყველა მათგანი კონკურენციის კანონმდებლობით განსაზღვრულ გამონაკლისებში მოექცა.

https://shorturl.at/forWZ

ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატები

ხუთი მარეგულირებელი უწყების ორგანიზებით, კონკურენციის და მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოში II საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება



კონკურენცია და მომხმარებლის უფლებები
II საერთაშორისო კონფერენცია

ნოემბერი 16-18 | 2023 | თბილისი, საქართველო

საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia
საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო
სემეკი
სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
კომუნიკაციების კომისია

კონფერენციას საერთაშორისო ორგანიზაციების ლიდერები გახსნიან, რომლებიც კონკურენციის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებებს ხელმძღვანელობენ.

დაგეგმილია - ხუთი მარეგულირებელი უწყების ხელმძღვანელი პირების მონაწილეობით სპეციალური პანელი, სადაც სექტორულ ჭრილში, კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით მიღებული შედეგები, მიღწევები და გამოწვევები იქნება წარმოდგენილი.

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ქვეყნის 20-მდე დელეგაცია. მათ შორის, კოლეგა უწყებების წარმომადგენლები, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, საჯარო უწყებების, მარეგულირებელი ორგანოების, აკადემიური წრის და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები.

კონფერენციის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ: www.ccc.gov.ge

ირაკლი ლექვინაძემ UNCTAD მიწვევით ჟენევაში კონკურენციის პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებზე და მიღწევებზე ანგარიში წარადგინა.

https://rb.gy/v37i8

კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ UNCTAD-ის მომხმარებელთა დაცვის კანონის და პოლიტიკის შესახებ მთავრობათაშორის მე-7 სესიაზე ანგარიში წარადგინა.

https://rb.gy/3kbgc

ირაკლი ლექვინაძე, ჟენევაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) კონკურენციისა და მომხმარებელთა პოლიტიკის მიმართულების ხელმძღვანელს, ტერესა მორეირას შეხვდა.

https://tinyurl.com/mhwzpuw2

საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ ვებგვერდი www.gnca.gov.ge განაახლა, სადაც სააგენტოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, განხორციელებული აქტივობა თუ მიმართვის ფორმა, დაინტერესებულმა მხარემ მარტივად და დეტალურად შეუძლია მოიძიოს.

https://tinyurl.com/2h6t4ub5

ირაკლი ლექვინაძე გერმანიის ფედერალური კარტელური სამმართველოს უფროს საქმისმწარმოებელს, OECD-ის ყოფილ ექსპერტს, საბინა ზიგელსკის და ავსტრიის კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის სტრატეგიული საკითხების დირექტორს, პოლ პისიაკს შეხვდა.

https://tinyurl.com/bdf9fzj8

უცხოელ ექსპერტებთან ერთად, კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ადვოკატირების 2023-2025 სტრატეგიის დამუშავება დაიწყო.

https://tinyurl.com/yfns8fdr

ირაკლი ლექვინაძემ საქართველოს პარლამენტში კომიტეტის სხდომაზე საქმიანობის ანგარიში წარადგინა.

https://tinyurl.com/yckze7ys

კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა, უცხოელ ექსპერტებთან ერთად, ჯარიმის გამოთვლის მექანიზმები განიხილეს.

https://tinyurl.com/436wjs3c

OECD-GVH RCC-ის მიერ ორგანიზებულ სემინარში საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

https://tinyurl.com/7sxatb2p

ლიეტუვაში კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლების სასწავლო ვიზიტი განხორციელდა.

https://tinyurl.com/mr2fanzy

ბრიუსელში, ტვინინგის პროექტების რეზიდენტი მრჩევლებისთვის გამართულ ტრენინგში კონკურენციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

https://tinyurl.com/ym58ccsb

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტვინინგის პროექტის ფარგლებში მმართველი კომიტეტის მეექვსე შეხვედრა გაიმართა.

https://tinyurl.com/4z9m26jm

WTO-ს მიერ დაგეგმილ ფორუმში საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

https://tinyurl.com/3cjbpckj

კონკურენციის პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი ქეისები საერთაშორისო მიმოხილვა

იტალიის კონკურენციის უწყების განცხადებით, კომპანია Ryanair საბაზრო ძალაუფლების გაფართოების მიზნით, ზიანს აყენებს ტურისტულ სააგენტოებს და მომხმარებლებს.

https://tinyurl.com/2uapmjkb

ფედერალური სავაჭრო კომისია Amazon-ს მონოპოლიური ძალაუფლების უკანონოდ შენარჩუნებისთვის უჩივის.

https://tinyurl.com/mrx9jbfy

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა უწყებამ სოციალური მედიის სარეკლამო მასალების არასათანადო მონიშვნისთვის ჯარიმის დაკისრების გადაწყვეტილება მიიღო.

https://tinyurl.com/4wtxrvv8

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელთა კომისიის გადაწყვეტილებით, ფოლადის მწარმოებელ BlueScope Steel-ს 57,5 მილიონი დოლარის ჯარიმის გადახდა დაეკისრა, ავსტრალიაში ბრტყელი ფოლადის პროდუქტების ფასების დაფიქსირების მცდელობისთვის.

https://tinyurl.com/m5hdnrca

ესპანეთის ბაზრისა და კონკურენციის ეროვნული კომისია APPLE-ს და AMAZON-ს 194 მილიონით აჯარიმებს ესპანეთში AMAZON- ის ვებგვერდზე კონკურენციის შეზღუდვისთვის.

https://tinyurl.com/2p8m9wzy

ლატვიის რესპუბლიკის კონკურენციის საბჭომ გამოსცა ოფიციალური გადაწყვეტილება სამი გზის მშენებელი კომპანიის კარტელურ გარიგებასთან დაკავშირებით.

https://tinyurl.com/bmszvef5

☎ (032) 244 07 70
info@gnca.gov.ge
www.gnca.gov.ge
https://bit.ly/3nhBoYp
https://bit.ly/3rZdxvL
https://bit.ly/37SCd22
0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი “მწვანე ოფისი”, მე-8 სართული